

გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
საკონტინენტო გადაზიდვების და სატერმინალო მომსახურების შესახებ
№ _____

ქ. თბილისი / ქ. ფოთი

_____ 2012 წელი

ერთის მხრივ, შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტინენტი“ (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მამუკა ტალახაძის მიხედვით პირის _____ (თანახმად 2012 წლის _____ ივლისის № _____ მინდობილობისა) სახით და მეორეს მხრივ, „_____“ (შემდგომში „დამკვეთი“), წარმომადგენელი მისი _____ ს _____ სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 საკონტინენტო გადაზიდვა და სატერმინალო მომსახურება დანართი № 1, 2 და 3-ის შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს.

2. მხარეთა ვალდებულებები და უფლებამოსილებები

2.1 „შემსრულებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს:

2.1.1 ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებების გაწევა „დამკვეთის“ მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ:

ა) კონტინენტების სარკინიგზო გადაზიდვის მომსახურება დანართი № 1-ის შესაბამისად;

ბ) სატერმინალო მომსახურება „შემსრულებლის“ კუთვნილ ტერმინალებში თბილისსა და ფოთში დანართი № 2-ის შესაბამისად;

გ) დამატებითი მომსახურების ტარიფები დანართი № 3-ის შესაბამისად.

2.1.2 „დამკვეთის“ მიერ განაცხადში მითითებულ მისამართზე ტვირთის მიტანა საჭირო პროცედურების დასრულების შემდეგ, მოთხოვნის შესაბამისად.;

2.1.3 არ დაუშვას კონტინენტის გახსნა „დამკვეთის“ (ან წარმომადგენელი) მოთხოვნის და დასწრების გარეშე;

2.1.4 მუდმივად იქონიოს საბაჟო საწყობის ფუნქციონირებისათვის ძალაში მყოფი ნებართვა;

2.1.5 იქონიოს სადაზღვეო პოლისი კონტინენტების ძარის და სატერმინალო ოპერაციების დაზღვევაზე.

2.1.6 „დამკვეთის“ წერილობითი დავალების და საზღვაო ხაზის თანხმობის საფუძველზე გადასცეს ცარიელი კონტინენტი მესამე პირს;

2.1.7 მიღება-ჩაბარების აქტი შედგენა დასრულებულ სერვისებზე.

2.2 „დამკვეთი“ ვალდებულია უზრუნველყოს:

2.2.1 ხელშეკრულების დანართი № 1, 2 და 3-ის შესაბამის მომსახურებებზე წერილობითი ან ელექტრონული ტიპის განაცხადის წარდგენა;

2.2.2 საჭიროების შემთხვევაში „შემსრულებლის“ მოთხოვნით ერთჯერადი ან გენერალური ტიპის მინდობილობის გაცემა „შემსრულებელზე“ შემდგომში გადამდების უფლებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულფასოვნად შესასრულებლად;

2.2.3 „შემსრულებლისათვის“ მის მიერ დასაბუთებული ყველა ფაქტობრივი და დამატებითი დანახარჯის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება „დამკვეთის“ ბრალეულობით;

2.3 „შემსრულებელი“ უფლებამოსილია:

2.3.1 არ გადასცეს „დამკვეთს“ მისი კუთვნილი ტვირთი, თუ „დამკვეთის“ მიერ არ იქნება ანაზღაურებული „შემსრულებლის“ მიერ გაწეული მომსახურება.

2.4 „დამკვეთი“ უფლებამოსილია:

2.4.1 აწარმოოს წინამდებარე ხელშეკრულებით „შემსრულებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების მუდმივი კონტროლი.

3. ტარიფები და ანგარიშსწორება

- 3.1 მომსახურების ტარიფები განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი № 1, 2 და 3-ით. დღგ-ს დარიცხვა ხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.
- 3.2 ტარიფების ცვლილება ხდება ცალმხრივად, „შემსრულებლის“ მიერ. „შემსრულებელი“ ცვლილების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მის ვებ გვერდზე - www.trans.railway.ge. ტარიფების ცვლილების ამოქმედებამდე 20 (ოცი) კალენდარული დღით ადრე. ცვლილების ამოქმედებამდე დაწყებულ ოპერაციაზე, მის დასრულებამდე ვრცელდება ოპერაციის დაწყების დრღისთვის არსებული სატარიფო განაკვეთები.
- 3.3 ტარიფის ცვლილებიდან გამომდინარე, „დამკვეთი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს „შემსრულებელს“.
- 3.4 გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინასწარ ავანსის სახით თანხის განთავსებით, ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.
- 3.5 საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება, ფაქტობრივად საანგარიშო პერიოდში შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის მიხედვით, მათი შედგენის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად .
- 3.6 ფინანსური შედარება ხდება ყოველკვარტლურად, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არა უგვიანეს მომდევნო თვის 20 (ოცი) რიცხვისა.
- 3.7 თუ „დამკვეთს“ ბოლო 1 (ერთი) თვის განმავლობაში არ განუხორციელებია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობა, უფლებამოსილია „შემსრულებელს“ წერილობითი აცნობოს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და მოითხოვოს საბოლოო ანგარიშსწორება.
- 3.8 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში საბოლოო ანგარიშსწორება, ორივე მხარესთვის, ხორციელდება ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღისა.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1 იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 და 2.2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოვალეობებს არ შეასრულებს მთლიანად ან ნაწილობრივ, დანაკარგით მიყენებული ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს ფაქტობრივი ზიანის ფარგლებში. ფინანსური ზარალის ფიქსირება მოხდება მხარეთა შორის ურთიერთ შეთანხმებით დამოუკიდებელი სურვეიერის ან სასამართლოს მიერ.
- 4.2 მხარეები მესამე პირებთან ურთიერთობაში მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკებით.

5. დავების გადაწყვეტა

- 5.1 მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება უნდა მოგვარდეს ორმხრივი მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების მეშვეობით დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეებმა უნდა მიმართონ საერთო სასამართლოებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.2 დავის არსებობა არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს და მხარეები ვალდებული არიან გააგრძელონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარდა სადავო საკითხისა.

6. ფორს-მაჟორი

- 6.1 მხარეთა შეთანხმებით დაუძლეველი ძალა მხარისათვის ნიშნავს ისეთ მოვლენას ან გარემოებას, რომელსაც მოცემული მხარე გონივრულად ან ფიზიკურად ვერ აკონტროლებს და რომლის თავიდან აცილება, შეჩერება ან გამოსწორება არ ხერხდება, მიუხედავად მოცემული მხარის გონივრული ძალისხმევისა და რომლის შედეგადაც ან რომლის გამოც რომელიმე მხარე ვერ ასრულებს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს.
- 6.2 მხარეები დაუძლეველი ძალის (ომი, საომარი ვითარება, სტიქიური უბედურებანი, ხანძარი, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი და სხვა) გამო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პასუხს არ აგებენ, თუ ეს გარემოებები წარმოიშვა ამ ხელშეკრულების ხელმოწერის

შემდეგ და თუ დამრღვევმა მხარემ დაუყოვნებლივ ან პირველივე შესაძლებლობისთანავე აცნობა მეორე

მხარეს ასეთი გარემოებების წარმოშობის შესახებ.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის გამო ხელშეკრულების შესრულება შეწყდება 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით, მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოახდინონ ანგარიშსწორება ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლით განმავლობაში.

7.2 იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე მხარეები არ განაცხადებენ საწინააღმდეგოს, ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება ავტომატურად, იგივე პირობებით, მათ შორის იგივე ვადით (შემდგომში „გაგრძელებული ვადა“). იგივე წესი გამოიყენება ყოველი მომდევნო ვადის ამოწურვის შემთხვევაში.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, გარდა 3.2 პუნქტში გათვალისწინებული პირობისა. ამასთან, ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა შესრულდეს წერილობით და მას ხელი უნდა მოეწეროს მხარეთა მიერ.

8.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ინახება „შემსრულებელთან“, ხოლო 1 (ერთი) „დამკვეთთან“.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსრულებელი“

შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“

საიდ. კოდი: 202 462 101

მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. #15

ტელ: 214 99 05

ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

ბანკის კოდი: UGEBGE22

ა/ა: GE21 VT65 0000 0007 7736 07

მინდობილი პირი:

/ __. _____ /

„დამკვეთი“

„_____“

საიდ. კოდი: ____ _

მის: ქ. თბილისი, _____

ტელ: ____ _

ბანკი: სს „_____“

ბანკის კოდი: _____

ა/ა: _____

დირექტორი:

/ __. _____ /

ბ.ა.

შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“-ს

საკონტეინერო კომბინირებული სერვისების ტარიფები ფოთი-თბილისის სარკინიგზო მონაკვეთზე
(აშშ დოლარში)

№	სერვისის დასახელება	კონტეინერის ტიპი	
		20'	40'
1	'ფოთი - ფოთი' (ფოთის ტერმინალი - თბილისის ტერმინალი - 'საწყობი' მანქანით - თბილისის ტერმინალი - ფოთის ტერმინალი) **	480	545
2	'ფოთი - თბილისი-კარამდე' (ფოთის ტერმინალი - თბილისის ტერმინალი - 'საწყობი' მანქანით- თბილისის ტერმინალი) **	355	380
3	'ფოთი - თბილისი ' (ფოთის ტერმინალი - თბილისის ტერმინალი)	220	250
4	თბილისი - ფოთი' (თბილისის ტერმინალი - ფოთის ტერმინალი)	220	250
5	'ფოთი - თბილისი ცარიელი' (ფოთის ტერმინალი - თბილისის ტერმინალი)	150	200
6	თბილისი - ფოთი ცარიელი' (თბილისის ტერმინალი - ფოთის ტერმინალი)	150	200
7	თბილისი 'კარიდან'-ფოთი (თბილისის ტერმინალი(ცარიელი)-მანქანით 'საწყობიდან'-თბილისის ტერმინალი-ფოთის ტერმინალი **	355	380

* განზაჩებული ტვირთების მომსახურებას ერიცხება დღე 18% კანონმდებლობის შესაბამისად.

* საკონტეინერო გადაზიდვის მომსახურებაზე წერილობითი განაცხადის შევსება ხორციელდება არაუგვიანეს მოსალოდნელი გადაზიდვის წინა დღის 17:00 საათამდე.

** თბილისის ფარგლებში (გარდა ზემო ბაგები, წყნეთი, კიკეთი, კოჯორი, ოქროყანა, ტაბახმელა, წავკისი, შინდის, გუდაური) ავტო-სატრანსპორტო საშუალებებით კონტეინერების მიტანის მომსახურება ხორციელდება არაუმეტეს 26 ტონისა.

** კონტეინერის დანიშნულების ადგილზე მიტანდან, კონტეინერი უნდა დაიცალოს 4 (ოთხი) საათის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ყოველ გადაცილებულ 1 (ერთი) საათზე.

** თბილისის საკონტეინერო ტერმინალში პროცედურების დასრულების შემდგომ „დამკვეთმა“ აცნობოს „შემსრულებელს“ მიწოდების ადგილი, მისაწოდებელი კონტეინერების რაოდენობა და უფლებამოსილი პირის საკონტაქტო ტელეფონი.

** „დამკვეთმა“ (მისმა უფლებამოსილმა პირმა) „კარამდე“/“საწყობამდე“ ტვირთის მიტანისას „შემსრულებლის“ წარმომადგენელს დაუდასტუროს წარმოდგენილი დოკუმენტაცია (სატრანსპორტო ზედნადები, დროის ათვლის ბარათი) ხელმოწერითა და ბეჭდით.

** კომბინირებული ტარიფი მოიცავს ცარიელი კონტეინერის ერთი დღით შენახვას.

*** იმ ტერმინალებიდან სადაც ვაგონის მიწოდება- გამოტანა საჭიროებს კერძო საკუთრებაში არსებული ჩიხის გამოყენებას, მომსახურების ტარიფს ემატება ჩიხით სარგებლობის გადასახადი.

* კომბინირებული სერვისის ტარიფები არ ითვალისწინებს საშიში და თხევადი ტვირთების კონტეინერებით გადაზიდვას.

* ეხება ყველა სერვისს

** ეხება №1, 2 და 7 სერვისს

*** ეხება 1,2,6 და 7 სერვისს

შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“-ს
თბილისის ტერმინალის მომსახურების ტარიფები

სავსე კონტეინერი – ერთი ამწის ოპერაცია (ტერმინალიდან გატანის 3 (სამი) დღიანი ვადი ჩათვლით)

3ტ., 5ტ. და 20' ფუტიანი კონტეინერი	17.00 აშშ დოლარი
40' ფუტიანი კონტეინერი	17.00 აშშ დოლარი

ცარიელი კონტეინერი – ერთი ამწის ოპერაცია

3ტ., 5ტ. და 20' ფუტიანი კონტეინერი	10.00 აშშ დოლარი
40' ფუტიანი კონტეინერი	10.00 აშშ დოლარი

საბაჟოს ან კლიენტის მოთხოვნით კონტეინერის ერთი დამატებითი აწონვა, ან გადმოდგმა ითვლება ერთ ოპერაციად

სამანევრო ლოკომოტივის მომსახურება

3ტ., 5ტ. და 20' ფუტიანი კონტეინერი	22.00 აშშ დოლარი
40' ფუტიანი კონტეინერი	44.00 აშშ დოლარი
სავაგონო ტვირთი, 1 ტონა	1.20 აშშ დოლარი

ტერმინალზე შენახვა

სავსე კონტეინერების შენახვა

3 და 5 ტონიანი კონტეინერი	5.00 აშშ დოლარი
20' ფუტიანი კონტეინერი	3.00 აშშ დოლარი
40' ფუტიანი კონტეინერი	5.00 აშშ დოლარი

ცარიელი კონტეინერების შენახვა

3ტ., 5ტ. და 20' ფუტიანი კონტეინერი	1.20აშშ დოლარი
40' ფუტიანი კონტეინერი	2.00აშშ დოლარი

მაცივარ-კონტეინერების შენახვა

სასვლე 20' ფუტიანი მაცივარ-კონტეინერი	25.00 აშშ დოლარი/დღეში (ჩართული ელექტრო კვებით)
სასვლე 40' ფუტიანი მაცივარ-კონტეინერი	30.00 აშშ დოლარი/დღეში (ჩართული ელექტრო კვებით)

საცავში შენახვა

დიდი საცავი	10.00 აშშ დოლარი/დღეში/(კვ.მ)
პატარა საცავი	5.00 აშშ დოლარი/დღეში/(კვ.მ)

კონტეინერის მშრალი წმენდა*

20' ფუტიანი	3.00 აშშ დოლარი
40' ფუტიანი	5.00 აშშ დოლარი

აწონვა

20' ფუტიანი	20.00აშშ დოლარი
40' ფუტიანი	25.00აშშ დოლარი

ტვირთის გადატვირთვა კონტეინერიდან კონტეინერში / ავტოტრანსპორტში ავტოქარით

1 ტონა	12.00 ლარი
--------	------------

სავაგონო მომსახურების ტარიფები

ღია მოედანზე 1 კვ.მ-ზე ტვირთის დასაწყობება 1 დღე-ღამე	1.00 ლარი
ერთი ვაგონზე ტერმინალის ლიანდაგის გამოყენება	150.00 ლარი
ვაგონის ტერმინალის ტერიტორიაზე მოცდენა 24 სთ თავისუფალი, ხოლო შემდგომი ყოველი ერთი დღე-ღამის საფასური	50.00 ლარი
ტერმინალის ტერიტორიაზე ერთი დღე-ღამე ავტომანქანის დგომა ღირებულება	30.00 ლარი
ტვირთის ხელით დამუშავება, კლიენტის მუშა ხელით 1 ტონაზე	5.00 ლარი

* განბაჟებული ტვირთების მომსახურებას ერიცხება დღგ 18% კანონმდებლობის შესაბამისად.

**შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“-ს
ფოთის ტერმინალის მომსახურების ტარიფები**

სავსე კონტეინერი – ერთი ამწის ოპერაცია (ტერმინალიდან გატანის 3 (სამი) დღიანი ვადი ჩათვლით)

3ტ., 5ტ., 20' და 40' ფუტიანი	12.00 აშშ დოლარი
------------------------------	------------------

ცარიელი კონტეინერი – ერთი ამწის ოპერაცია

3ტ., 5ტ., 20' და 40' ფუტიანი	8.00 აშშ დოლარი
------------------------------	-----------------

საბაჟოს ან კლიენტის მოთხოვნით კონტეინერის ერთი დამატებითი აწონვა, ან გადმოდგმა ითვლება ერთ ოპერაციად

სამანევრო ლოკომოტივის მომსახურება

3ტ., 5ტ. და 20' ფუტიანი კონტეინერი	22.00 აშშ დოლარი
------------------------------------	------------------

40' ფუტიანი კონტეინერი	44.00 აშშ დოლარი
სავაგონო ტვირთი, 1 ტონა	1.20 აშშ დოლარი

ტერმინალზე შენახვა

სავსე კონტეინერების შენახვა (აშშ დოლარი/დღე)

3 და 5 ტონიანი	3.00 აშშ დოლარი
20' ფუტიანი	3.00 აშშ დოლარი
40' ფუტიანი	4.00 აშშ დოლარი

ცარიელი კონტეინერების შენახვა

3ტ., 5ტ. და 20' ფუტიანი კონტეინერი	1.00 აშშ დოლარი
40' ფუტიანი კონტეინერი	1.20 აშშ დოლარი

მაცივარ-კონტეინერების შენახვა

სავსე 20 ფუტიანი მაცივარ -კონტეინერი	25.00 აშშ დოლარი /დღეში (ჩართული ელექტრო კვებით)
სავსე 40 ფუტიანი მაცივარ -კონტეინერი	27.00 აშშ დოლარი/დღეში (ჩართული ელექტრო კვებით)

საცავში შენახვა

დიდი საცავი	10.00 აშშ დოლარი/დღეში
პატარა საცავი	5.00 აშშ დოლარი/დღეში

კონტეინერის მშრალი წმენდა*

20' ფუტიანი	3.00 აშშ დოლარი
40' ფუტიანი	5.00 აშშ დოლარი

*კონტეინერის მესაკუთრის შეკვეთის შესაბამისად

ტვირთის გადატვირთვა კონტეინერიდან კონტეინერში / ავტოტრანსპორტში ავტოქარით

1 ტონა	12.00 ლარი
--------	------------

სავაგონო მომსახურების ტარიფები

ღია მოედანზე 1 კვ.მ-ზე ტვირთის დასაწყობება 1 დღე-ღამე	1.00 ლარი
ერთი ვაგონზე ტერმინალის ლიანდაგის გამოყენება	100.00 ლარი
ვაგონის ტერმინალის ტერიტორიაზე მოცდენა 24 სთ თავისუფალი, ხოლო შემდგომი ყოველი ერთი დღე-ღამის საფასური	20.00 ლარი
ტერმინალის ტერიტორიაზე ერთი დღე-ღამე ავტომანქანის დგომა ღირებულება	30.00 ლარი
ტვირთის ხელით დამუშავება, კლიენტის მუშა ხელით 1 ტონაზე	5.00 ლარი

სატვირთო ავტომანქანით შესვლა ტერმინალის ტერიტორიაზე უფასოა.

* განბაჟებული ტვირთების მომსახურებას ერიცხება დღგ 18% კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი № 3

შპს „ჯორჯიან რელიჯვი ტრანსკონტეინერი“-ს

საკონტეინერო კომბინირებული სერვისების ტარიფები ფოთი-თბილისის სარკინიგზო მონაკვეთზე ონლაინ განაცხადის შევსებისას (ა.შ.შ. დოლარში)

№	პირველი ონლაინ განაცხადის სერვისები და ტარიფები	კონტეინერის ტიპი	
		20'	40'
1	‘ფოთი - ფოთი’ (ფოთის ტერმინალი - თბილისის ტერმინალი - ‘საწყობი’ მანქანით - თბილისის ტერმინალი - ფოთის ტერმინალი)	520	585

პროცედურა:

ა) „დამკვეთი“ ეცნობა trans.railway.ge-ზე შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“-ს ხელშეკრულების ფორმას და შესაბამის დანართებს.

ბ) ხელშეკრულების პირობებზე თანხმობის შემთხვევაში, „დამკვეთი“ ახორციელებს თბილისში საზღვაო ხაზთან საჭირო დოკუმენტაციის გაფორმებასა და შესაბამისი თანხის გადახდას.

გ) „დამკვეთი“ ახორციელებს www.rs.ge-ზე განაცხადის შევსებას და შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვას.

დ) „შემსრულებლის“ მხრიდან განაცხადზე თანხმობის გაცემის შემდგომ, „დამკვეთის“ მინდობილობის საფუძველზე შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“-ის წარმომადგენელი იწყებს გადაზიდვისათვის საჭირო პროცედურას.

პირველი ონლაინ სერვისების ტარიფი არ მოიცავს :

ა)შემოსავლების სამსახურის აღრიცხვის მოწმობის საფასურს;

ბ) ფიტო/ვეტ კონტროლქვემდებარე საქონლის წინასაიმპორტო ნებართვის გაცემის საფასურს.

№	მეორე ონლაინ განაცხადის სერვისები და ტარიფები	კონტეინერის ტიპი	
		20'	40'
1	‘ფოთი - ფოთი’ (ფოთის ტერმინალი - თბილისის ტერმინალი - ‘საწყობი’ მანქანით - თბილისის ტერმინალი - ფოთის ტერმინალი)	535	600

პროცედურა:

ა) „დამკვეთი“ ეცნობა trans.railway.ge-ზე შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“-ის ხელშეკრულების ფორმას და შესაბამის დანართებს.

ბ) „დამკვეთი“ www.rs.ge-ზე ავსებს განაცხადის ფორმას და იძახებს შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“-ის წარმომადგენელს განაცხადებაში მითითებულ მისამართზე.

გ) „შემსრულებლის“ მხრიდან განაცხადზე თანხმობის გაცემის შემდგომ, GRTC-ის წარმომადგენელი მიდის „დამკვეთს“ მიერ მითითებულ მისამართზე, აფორმებს ხელშეკრულებას და მინდობილობას, „დამკვეთი“ გადასცემს შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“-ის წარმომადგენელს ტვირთის ორიგინალი კონოსამენტს გადაზიდვისათვის საჭირო პროცედურების დასაწყებად.

დ) „შემსრულებელი“

მეორე ონლაინ განაცხადის სერვისები ტარიფი არ მოიცავს :

ბ) საზღვაო ხაზების მომსახურების ყველანაირ გადასახადებს.

ბ)შემოსავლების სამსახურის აღრიცხვის მოწმობის საფასურს;

დ) ფიტო/ვეტ კონტროლქვემდებარე საქონლის წინასაიმპორტო ნებართვის გაცემის საფასურს.

შენიშვნა:

* საკონტეინერო გადაზიდვის მომსახურებაზე, ელექტრონული ტიპის განაცხადის შევსება ხორციელდება არაუგვიანეს მოსალოდნელი გადაზიდვის წინა დღის 13:00 საათამდე.

*იმ შემთხვევაში თუ ტვირთის საკონტეინერო გადაზიდვა განხორციელდა შპს „ჯორჯიან რელიჯვი ტრანსკონტეინერი“-ს ფოთის სარკინიგზო ტერმინალიდან, ყველა ონლაინ სერვისების ტარიფს აკლდება 25 ა.შ.შ. დოლარი.

მინდობილობის ნიმუში

ბეჭდება თქვენს ბლანკზე

N _____

_____ 2012 წ.

გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ემლევა, შპს „ჯორჯიან რელიჯვი ტრანსკონტეინერი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202462101) მასზედ, რომ იგი უფლებამოსილია შპს „_____“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი:

_____) სახელით მიიღოს კონტეინერები, აწარმოოს მასთან დაკავშირებული ყველა სახის საბაჟო და ფინანსური ოპერაცია დღგ-ს ჩათვლით, ასევე სატრანსპორტო საბუთების გაფორმება და ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე.

მინდობილობა გაცემულია გადანდობის უფლებით.

მინდობილობა ძალაშია _____ წლის _____ მდე.

დირექტორი:

/ _____ /